



ბაგა-ბადის აღმზრდელი-პედაგოგი

პროფესიული სტანდარტი

პროექტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2015

1. პროფესიის დასახელება (ქართულად):

ბაგა-ბალის აღმზრდელი-პედაგოგი

2. პროფესიის დასახელება (ინგლისურად):

Preschool caregiver-pedagogue

3. პროფესიული სტანდარტის კოდი

4. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი

5. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით - 2342

6. პროფესიის აღწერა:

ბაგა-ბალის აღმზრდელი-პედაგოგის საქმიანობას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვა, მისი აღზრდა, განვითარება და განათლება. ამ მიზნებისთვის იგი უზრუნველყოფს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემოს და ამ პროცესში ურთიერთობს ბავშვის ოჯახთან, ბალის კოლექტივთან, კოლეგებთან და ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

7. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:

ბაგა-ბალის აღმზრდელი-პედაგოგის ტიპური სამუშაო გარემოა 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შესაბამისად აღჭურვილი შიდა და გარე სივრცე; კლიენტურის სპეციფიკა: 0-დან 6 წლამდე ასაკის აღსაზრდელები.

დასაქმების შესაძლებლობები: ბაგა-ბალი, სასკოლო მზაობის პროგრამები, კერძო საბავშვო დაწესებულებები, საბავშვო გასართობი ცენტრები, დღის ცენტრები, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრები, საბავშვო ბიბლიოთეკები და ა.შ.

8. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:

კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

9. კვალიფიკაციის დონე ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით:

მეხუთე

10. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	სამუშაოს ორგანიზება	1.1. იცავს სარეკომენდაციო დღის განრიგს 1.2. თანამშრომლობს ბალის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან (მეთოდისტთან) 1.3. თანამშრომლობს კოლეგებთან 1.4. აწარმოებს რეგულაციებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას 1.5. უფრთხილდება ბალის ქონებას/ინვენტარს 1.6. იცავს კოლეგიალურ და ზოგად ეთიკის ნორმებს
2	სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა	2.1. შეიმუშავებს სააღმზრდელო პროცესის გრძელვადიან გეგმას 2.2. შეიმუშავებს სააღმზრდელო პროცესის მოკლევადიან გეგმებს 2.3. განსაზღვრავს სააღმზრდელო პროცესისთვის

		საჭირო რესურსებს 2.4. თანამშრომლობს მულტიდისციპლინურ გუნდთან 2.5. შეიმუშავებს ინდივიდუალურ სააღმზრდელო გეგმას 2.6. ხელმძღვანელობს სავალდებულო და სარეკომენდაციო ლიტერატურით
3	თემთან და ოჯახთან ურთიერთობის წარმართვა	3.1. ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან და თემთან 3.2. სააღმზრდელო პროცესში ასახავს თემში არსებულ მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს 3.3. ხელს უწყობს მშობლის ჩართულობას სააღმზრდელო პროცესში 3.4. იცავს მშობლებთან ურთიერთობის ეთიკის ნორმებს 3.5. იყენებს თემში არსებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსს სააღმზრდელო პროცესში 3.6. ხელს უწყობს მშობლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას
4	სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა	4.1. წარმართავს აქტივობებს ბავშვების დიდ ჯგუფთან 4.2. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას მცირე ჯგუფებთან 4.3. აწარმოებს ბავშვზე დაკვირვებას 4.4. აწარმოებს ბავშვის შეფასებას 4.5. სააღმზრდელო პროცესში თანამშრომლობს თანაშემწესთან 4.6. ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ/მრავალმხრივ განვითარებას 4.7. შეიუმშავებს ჯგუფის წესებს ბავშვებთან ერთად
5	ბავშვის მრავალმხრივი განვითარება	5.1. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას თამაშის უნარების განსავითარებლად აღსაზრდელებში 5.2. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას კომუნიკაციის უნარების განსავითარებლად 5.3. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას ენისა და მეტყველების განსავითარებლად 5.4. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას ადრეული წიგნიერების განსავითარებლად 5.5. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას მეცნიერების ან/და მათემატიკური უნარების განსავითარებლად 5.6. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას თვით-გამოხატვის, კრეატიულობის ან/და მოტორულ უნარების განსავითარებლად 5.7. გეგმავს ხელოვნებისა (სახვითი და პერფორმანსული) და ფიზიკური აქტივობების სწავლებას

6	განმავითარებელი გარემოს მოწყობა	6.1. აწყოფს სააღმზრდელო ჯგუფის ფიზიკურ გარემოს სააღმზრდელო პროგრამის შესაბამისად 6.2. ქმნის ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს 6.3. უზრუნველყოფს მრავალფეროვანი მასალების ხელმისაწვდომობას 6.4. ქმნის ესთეტიკურად მიმზიდველ გარემოს 6.5. უზრუნველყოფს ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს 6.6. აწყოფს გარემოს სადაც აღსაზრდელს შეუძლია დამოუკიდებელი მოქმედება
7	ინკლუზიური და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა	7.1. უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებას 7.2. თანამშრომლობს მულტიდისციპლინურ გუნდთან 7.3. უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებულ სააღმზრდელო გარემოს 7.4. ახორციელებს სააღმზრდელო პროცესს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებს შორის განსხვავებულობის პატივისცემას 7.5. უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას მრავალფეროვნების შესახებ 7.6. უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ჩართულობას
8	ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნორმების დაცვა	8.1. უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას 8.2. უწევს პირველად დახმარებას 8.3. ხელს უწყობს ჰიგიენის დაცვას 8.4. უზრუნველყოფს ჯანსაღი ცხოვრების პრინციპების გაცნობას ბავშვებისთვის 8.5. უზრუნველყოფს ჯანსაღი ცხოვრების პრინციპების განხორციელებას 8.6. უზრუნველყოფს ეკოლოგიურ განათლებას
9	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	10.1. ეცნობა საჭირო ლიტერატურას პროფესიული უნარების დახვეწისათვის 10.2. მონაწილეობს კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში 10.3. ეცნობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების სფეროში არსებულ სიახლეებს 10.4. განსაზღვრავს საკუთარ პროფესიულ საჭიროებებს 10.5. ახდენს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას დარგის სპეციალისტებთან 10.6. ხელს უწყობს დარგის განვითარებას

11. პიროვნული თვისებები:

- გაწონასწორებული
- ჰუმანური
- ობიექტური
- კომუნიკაბელური

- შემოქმედებითი
- მრავალფეროვნების მიმღებელი

12. ხელსაწყოები, დანადგარები, მასალები:

- სათამაშოები და განმავითარებელი მასალები, მათ შორის აუდიო-ვიზუალური და სენსორული მასალა
- სახელოვნებო მასალები
- ბუნებრივი მასალები
- წიგნები
- ტექნოლოგიები (კომპიუტერი, ფოტო აპარატი, მუსიკალური ცენტრი და ა.შ.)
- საბავშვო სამუშაო იარაღები
- ბავშვზე მორგებული ავეჯი
- ეზოს გასართობი დანადგარები
- საბავშვო სპორტული ინვენტარი
- ადაპტირებული რესურსები

13. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:

- საერთაშორისო გამოდილების გათვალისწინებით, მოსალოდნელია სკოლამდელი განათლების საფეხურზე სხვადასხვა ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გავრცელება.

14. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	სამუშაოს ორგანიზება	• იცნობს ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო დოკუმენტებს, რომლებიც შრომით ურთიერთობებს აწესრიგებს • იცნობს შინაგანაწესს • იცის საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორთან ურთიერთობის ფორმები • იცნობს საგანმანათლებლო კოორდინატორის უფლება-მოვალეობებს • იცის ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები • იცის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა • იცის საჭირო დოკუმენტაციის წარმოების წესი • იცის ინვენტარის და და სხვადასხვა რესურსების მოვლის წესი • იცის ინვენტარის და სხვადასხვა რესურსების შენახვის წესი • იცნობს ბავშვების წახალისების ხერხებს, როგორ	• შეუძლია კეთილსინდისიერად შეასრულოს სამუშაო მოვალეობები • შეუძლია დაიცვას შინაგანაწესით განსაზღვრული დღის განრიგი • შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია • შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების მართვა • შეუძლია საადმინისტრაციო დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია ანგარიშვალდებულების დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია ბაგა-ბაღის ინვენტარის მოვლა და შენახვა • შეუძლია ბაგა-ბაღის ინვენტარისა და რესურსის გონივრული გამოყენება • შეუძლია ეთიკის ნორმების დაცვა

		- გაუფრთხილდნენ ინვენტარს - იცნობს ინვენტარის გამოყენების წესებს - იცის ეთიკის ნორმები - იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას	- შეუძლია ბავშვთა უფლებების დაცვა - შეუძლია ინფორმაციის მოძიება
2.	სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა	- იცის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები - იცნობს სავალდებულო და სარეკომენდაციო მასალებს - იცის სასწავლო-სააღმზრდელო გეგმების შემუშავების ძირითადი პრინციპები - იცის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები - იცნობს ბავშვის ინტერესების გამოვლენის გზებს - იცნობს ბავშვის საჭიროებების გამოვლენის გზებს - იცის დაგეგმვისა და სამუშაო პროცესში ბავშვის ჩართვის გზები - იცის მოკლევადიანი სასწავლო-სააღმზრდელო გეგმების შემუშავების ძირითადი პრინციპები - იცნობს აქტივობების შესაბამის რესურსებს - იცის ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისი რესურსების შესახებ - იცის მასალის უსაფრთხოების ძირითადი მახასიათებლები - იცის სხვადასხვა რესურსის მოძიების გზები - იცის ადამიანური რესურსის გამოყენების საშუალებები - იცის მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობის სპეციფიკა - იცნობს მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრთა მოვალეობებს - იცის გუნდური მუშაობის პრინციპები - იცნობს მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკაში განხორციელების გზებს - იცნობს აღსაზრდელთა ინდივიდუალური	- შეუძლია დაგეგმოს გრძელვადიანი სააღმზრდელო პროგრამა ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით - შეუძლია ეფექტური გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება - შეუძლია დაგეგმოს მოკლევადიანი სააღმზრდელო პროგრამა ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით - შეუძლია გაითვალისწინოს აღსაზრდელთა ინდივიდუალური შესაძლებლობები - შეუძლია აღსაზრდელთა სამუშაო პროცესში ჩართვა - შეუძლია ბავშვის ინტერესების გათვალისწინება - შეუძლია ბავშვის ინტერესების გამოვლენა - შეუძლია ბავშვის საჭიროებების გამოვლენა - შეუძლია აქტივობების შესაბამისი რესურსების განსაზღვრა - შეუძლია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება რესურსის შერჩევის პროცესში - შეუძლია ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და ინტერესების გათვალისწინება რესურსების შერჩევის პროცესში - შეუძლია სხვადასხვა რესურსების მოძიება - შეუძლია ადამიანური და მატერიალური რესურსის გამოყენება

		• საჭიროებებს • იცის ინდივიდუალური სააღმზრდელო გეგმის შექმნის პრინციპები • იცის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ინდივიდუალური სააღმზრდელო გეგმის განხორციელებას • იცნობს საქართველოში სკოლამდელი განათლების სფეროს მარეგულირებელ დოკუმენტებს • იცნობს სავალდებულო საგანმანათლებლო სტანდარტებს • იცნობს სავალდებულო პროგრამას • იცნობს სარეკომენდაციო ლიტერატურას • იცის სხვადასხვა ტიპის რესურსის მოძიების გზები	• შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია • შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება • შეუძლია მოძიოს ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება ინდივიდუალური სააღმზრდელო გეგმის შექმნაში • შეუძლია ინფორმაციის ანალიზი • შეუძლია ინდივიდუალური სააღმზრდელო გეგმის შემუშავება ძირითადი პრინციპების დაცვით • შეუძლია სხვადასხვა რესურსის გამოყენება • შეუძლია ტექსტის გაანალიზება და კრიტიკული შეფასება • შეუძლია სავალდებულო სტანდარტებზე დაყრდნობით ბავშვზე და ჯგუფზე მორგებული სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა
3.	თემთან და ოჯახთან ურთიერთობის წარმართვა	• იცის კომუნიკაციის ეფექტური მეთოდი • იცნობს სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების კომუნიკაციის მიზნით გამოყენების გზებს • იცის საზოგადოების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ძირითადი თეორიები • იცის მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის სააღმზრდელო პროგრამაში გათვალისწინების გზები • იცის მშობელთა აქტივობებში ჩართვის სტრატეგიები • იცის ბავშვის განვითარების თეორიები (მიჯაჭვულობასთან დაკავშირებული თეორიები, ბავშვის განვითარების ეკოლოგიური თეორია და სხვა) • იცის კითხვარის შექმნის ტექნიკა • იცის მშობლისთვის	• შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია მშობლებთან • შეუძლია გამართულად მეტყველება • შეუძლია სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება კომუნიკაციის მიზნით • შეუძლია მშობლებთან შეხვედრების ორგანიზება • შეუძლია მშობლებთან შეხვედრების ფასილიტაცია • შეუძლია მრავალფეროვნებასა და განსხვავებულობასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება • შეუძლია განსხვავებული მოსაზრების გათვალისწინება სააღმზრდელო პროცესში • შეუძლია თემში არსებული სხვადასხვა ტრადიციების ასახვა სააღმზრდელო პროცესში (მაგ. სიმღერა, ცეკვა,

		ინფორმაციის მიწოდების ხერხები • იცნობს კონფლიქტური სიტუაციების მართვის სტრატეგიებს • იცნობს ეთიკის ნორმებს • იცის თემთან მუშაობის ხერხები • იცის თემის ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოვლენის გზები • იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას • იცნობს ადამიანის უფლებების კონვენციას • იცის პოზიტიური ურთიერთობის ხელშეწყობის სტრატეგიები	როლური თამაში და ა.შ.) • შეუძლია დააინტერესოს მშობელი და ხელი შეუწყოს მოტივაციის აძლევას • შეუძლია მშობლისთვის რეკომენდაციების მიცემა • შეუძლია მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ეფექტური გზით • შეუძლია სხვადასხვა საკითხზე საინფორმაციო მასალის შემუშავება მშობლებისთვის • შეუძლია პოზიტიური კომუნიკაციის დამყარება • შეუძლია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება • შეუძლია მშობლის მოლოდინების გამოვლენა • შეუძლია განსხვავებული აზრის პატივისცემა და შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინება • შეუძლია თემში არსებული ადამიანური რესურსის მოძიება • შეუძლია თემში არსებული ადამიანური რესურსის გამოყენება • შეუძლია თემში არსებული მატერიალური მასალების გამოყენება • შეუძლია მოახდინოს მშობელთა შეხვედრების, ექსკურსიებისა და სემინარების ორგანიზება • შეუძლია კომუნიკაციის ეფექტური ფორმების გამოყენება • შეუძლია შეხვედრების ფასილიტაცია
4.	საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა	• იცის დიდ ჯგუფთან აქტივობების განხორციელების ეფექტური მეთოდები • იცის დიდ ჯგუფთან განსახორციელებელი აქტივობების ტიპები • იცნობს ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს • იცის ადრეულ ასაკში ბავშვის	• შეუძლია დიდ ჯგუფთან განსახორციელებელი აქტივობების ეფექტური მართვა • შეუძლია თანაშემწესთან ერთად გუნდური მუშაობა • შეუძლია დიდ ჯგუფში სხვადასხვა აქტივობების ჩატარება ბავშვების

	სწავლების და განვითარების ხელშეწყობის მეთოდები • იცის ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები • იცის ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლების და განვითარების ხელშეწყობის მეთოდები • იცის მცირე ჯგუფში აქტივობების ხელშეწყობის ეფექტური მეთოდები • იცის მცირე ჯგუფთან განსახორციელებელი მრავალფეროვანი აქტივობების ტიპები • იცის ბავშვზე დაკვირვების ტექნიკა • იცის ბავშვის განვითარების თეორიები • იცის დაკვირვების ჩანაწერების წარმოების გზები • იცის მულტიდისციპლინურ გუნდში მომუშავე პროფესიონალთა კომპეტენციები და მათი მნიშვნელობა • იცის გუნდური მუშაობის პრინციპები • იცის ბავშვის შეფასების პრინციპები და მეთოდები • იცნობს ეთიკის კოდექსს • იცნობს წახალისების ხერხებს • იცის ქცევის მართვის პოზიტიური მეთოდები • იცნობს ბავშვის ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სტანდარტებს • იცის ჯგუფის საჭიროებების გამოვლენის სტრატეგიები • იცის ბავშვის აქტიური ჩართვის სტრატეგიები • იცის ბავშვის წახალისების მექანიზმები • იცის ბავშვებთან ერთად თვალსაჩინოებების დამზადების ხერხები • იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას	ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით • შეუძლია გამართულად მეტყველება • შეუძლია ბავშვთა ინტერესების გათვალისწინება მცირე ჯგუფებთან მუშაობისას • შეუძლია მცირე ჯგუფთან განსახორციელებელი აქტივობების ეფექტური მართვა • შეუძლია თანამშემწესთან ერთად გუნდური მუშაობა • შეუძლია მცირე ჯგუფში სხვადასხვა აქტივობების ხელშეწყობა ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით • შეუძლია გამართულად მეტყველება • შეუძლია ბავშვზე დაკვირვება ბუნებრივ გარემოში • შეუძლია იყოს უშაუალო და გულისხმიერი ბავშვთან ურთიერთობისას • შეუძლია კონფიდენციალობის დაცვა • შეუძლია დაკვირვების ჩანაწერების გაკეთება • შეუძლია შეფასების ფორმების გამოყენება • შეუძლია ბავშვის ქცევაზე დაკვირვება • შეუძლია ბავშვის განვითარების შესახებ თეორიული ცოდნის დაკვირვებისას გამოყენება • შეუძლია მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობა • შეუძლია ბავშვის შეფასება • შეუძლია გუნდთან მუშაობისას მიაღწიოს კონსენსუსს • შეუძლია გუნდთან ერთად მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება • შეუძლია გუნდური მუშაობა თანამშემწესთან ერთად • შეუძლია განსხვავებული
--	---	--

			აზრის პატივისცემა დაგათვალისიწნება • შეუძლია პოზიტიური კომუნიკაცია • შეუძლია თანაშემწის ინიციატივის წახალისება • შეუძლია ბავშვის პოლისტური განვითარების ხელშეწყობა (ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-ემოციური, შემოქმედებითი) • შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება • შეუძლია დაიცვას ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სტანდარტები • შეუძლია ქცევის მართვის პოზიტიური მეთოდების გამოყენება • შეუძლია რომელიმე მუსიკალურ საკრავზე მუშაობა • შეუძლია ბავშვების ჩართვა წესების შემუშავების პროცესში • შეუძლია ბავშვებთან ერთად კონსენსუსის მიღწევა • შეუძლია ბავშვებისთვის არჩევანის თავისუფლების მიცემა • შეუძლია ბავშვების წახალისება წესების დაცვისთვის • შეუძლია ჯგუფის ერთობის ხელშეწყობა წესების შექმნის პროცესში • შეუძლია თვალსაჩინოებების დამზადება ბავშვებთან ერთად
5.	ბავშვის მრავალმხრივი განვითარება	• იცის თამაშის მნიშვნელობის შესახებ ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისა და მისი კეთილდღეობისთვის • იცის თამაშის განვითარების ეტაპები და ფორმები • იცის აღმზრდელის როლის შესახებ თამაშის ხელშეწყობისა და მისი განვითარებისათვის • იცნობს თამაშის მრავალფეროვან ფორმებს • იცის სკოლამდელ განათლებაში კომუნიკაციის მნიშვნელობა	• შეუძლია თამაშის წარმართვა ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისა და კეთილდღეობისათვის • შეუძლია თამაშის ხელშეწყობა და მისი განვითარება მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებით • შეუძლია სკოლამდელ განათლებაში კომუნიკაციის უნარების განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა • შეუძლია დაგეგმილი სკოლამდელ განათლებაში

	• იცის აღმზრდელის როლის მნიშვნელობა სკოლამდელ განათლებაში • იცის კომუნიკაციის უნარების განსავითარებელი აქტივობები • იცის მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის შეფასების მეთოდი • იცის აღმზრდელის როლის შესახებ მეტყველების უნარის განვითარებაში • იცის მეტყველების განვითარების შესაბამისი მიზნების შესახებ • იცის მეტყველების სწავლების შინაარსის გაანალიზება მოცემულ კურიკულუმებში • იცის მეტყველების განსავითარებელი აქტივობების დაგეგმვა • იცის დაგეგმილი აქტივობების განხორციელება • იცის შეფასება მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის ენისა და მეტყველების უნარების განსავითარებლად • იცის წიგნიერების განვითარების მნიშვნელობა ადრეულ განათლებაში • იცის აღმზრდელის როლის შესახებ ადრეული წიგნიერების განვითარებაში • იცის ადრეული წიგნიერების განსავითარებელი აქტივობების გაანალიზება არსებულ კურიკულუმებში • იცის ადრეული წიგნიერების განსავითარებელი აქტივობების დაგეგმვა • იცის დაგეგმილი ადრეული წიგნიერების განმავითარებელი აქტივობების განხორციელება • იცის ადრეული წიგნიერების განსავითარებელ აქტივობებში მიზნის მირწევის გზები და შედეგის შეფასება • იცის ადრეულ ასაკში მეცნიერებისა და მათემატიკური წარმოდგენების სწავლების მნიშვნელობის	კომუნიკაციის უნარების განმავითარებელი აქტივობების განხორციელება • შეუძლია მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის შეფასება • შეუძლია აღმზრდელის როლის განსაზღვრა მეტყველების უნარის განვითარებაში • შეუძლია მეტყველების სწავლების შინაარსის გაანალიზება მოცემულ კურიკულუმებში • შეუძლია მეტყველების განსავითარებელი აქტივობების დაგეგმვა • შეუძლია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება • შეუძლია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება • შეუძლია შეფასება მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის ენისა და მეტყველების უნარების განსავითარებლად • შეუძლია წიგნიერების განვითარების მნიშვნელობის განსაზღვრა ადრეულ განათლებაში • შეუძლია აღმზრდელის როლის განსაზღვრა ადრეული წიგნიერების განვითარებაში • შეუძლია ადრეული წიგნიერების განსავითარებელი აქტივობების გაანალიზება არსებულ კურიკულუმებში • შეუძლია ადრეული წიგნიერების განსავითარებელი აქტივობების დაგეგმვა • შეუძლია დაგეგმილი ადრეული წიგნიერების განმავითარებელი აქტივობების განხორციელება • შეუძლია ადრეული წიგნიერების განსავითარებელ აქტივობებში მიზნის მიღწევის გზებისა და შედეგის შეფასება
--	---	--

		ფიზიკური აქტივობების მიზნებს • იცის ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების გაანალიზება გამოყენებულ კურიკულუმებში • იცის ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის შეფასება	და კრეტიულობის ან/და მოტორული უნარების განსავითარებელი მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის შეფასება • შეუძლია ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების მნიშვნელობის განსაზღვრა ადრეულ ასაკში • შეუძლია ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების მიზნების გათვალისწინება • იცის ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების განხორციელების გზები გამოყენებულ კურიკულუმებში • შეუძლია ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის შეფასება
6.	განმავითარებელი გარემოს მოწყობა	• იცის სააღმზრდელო გარემოს უსაფრთხოდ მოწყობის ხერხები • იცის ბავშვის განვითარების შესაბამისი გარემოს მოწყობის გზები • იცის ბავშვის მრავალმხრივი განვითარების ხელშემწყობი გარემოს მოწყობის პრინციპები • იცნობს სავალდებულო და სარეკომენდაციო პროგრამებს • იცნობს საერთაშორისო ინოვაციურ გამოცდილებას ფიზიკური სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით • იცნობს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელო ფსიქოლოგიას • იცნობს ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებებს • იცნობს ბავშვის ქცევის მართვის პოზიტიურ მეთოდებს • იცნობს ჯგუფის მართვის პოზიტიურ მეთოდებს • იცის ბავშვისთვის ფსიქოლოგიურად მისაღები გარემოს შექმნის პრინციპები • იცის მრავალფეროვანი მასალების მოძიების გზები • იცის ეკოლოგიურად სუფთა და	• შეუძლია სააღმზრდელო გარემოს უსაფრთხოდ მოწყობა • შეუძლია ბავშვის განვითარების შესაბამისი გარემოს მოწყობა • შეუძლია ბავშვის მრავალმხრივი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა • შეუძლია სავალდებულო და სარეკომენდაციო პროგრამებით მუშაობა • შეუძლია საერთაშორისო ინოვაციური გამოცდილების მოძიება და გათვალისწინება • შეუძლია ბავშვზე ორიენტირებული სააღმზრდელო-განმავითარებელი პედაგოგიური მიდგომების გამოყენება • შეუძლია ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება • შეუძლია აღსაზრდელო ქცევის პოზიტიური მართვა • შეუძლია ჯგუფის მართვა პოზიტიური მეთოდებით • შეუძლია ბავშვების აზრთა

	ბუნებრივი მასალების მოძიების გზები • იცის ბუნებრივი მასალების მრავალმხრივი გამოყენების ხერხები • იცის მეორადი მასალის გამოყენების გზები • იცის მასალების ასაკობრივი შესაბამისობის შესახებ • იცის ბავშვებისთვის ესთეტიური გარემოს მოწყობის ძირითადი პრინციპები • იცის ესთეტიურად მიმზიდველი მასალის მახასიათებლები • იცის სააღზრდელო პროგრამა • იცის ბავშვთა უფლებების კონვენცია • იცის ქცევის მართვის სტრატეგიები • იცის პოზიტიური ქცევის ხელშეწყობის გზები • იცის ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების თეორიები • იცის ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლების და განვითარების ხელშეწყობის მეთოდები • იცის ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფის სტრატეგიები • იცის ბავშვის დამოუკიდებელი მოქმედების მნიშვნელობა მისი განვითარებისთვის	გათვალისწინება • შეუძლია ბავშვის დამოუკიდებელი არჩევანის შესაბამისად სააღზრდელო პროცესის წარმართვა • შეუძლია მარავლფეროვანი სააღზრდელო-განმავითარებელი მასალის მოძიება • შეუძლია ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი მასალის მოძიება • შეუძლია ბუნებრივი მასალის მრავალმხრივი გამოყენება • შეუძლია მეორადი მასალის გამოყენება • შეუძლია ასაკობრივად შესაბამისი მასალების გამოყენება • შეუძლია ასაკობრივად შესაბამისი ესთეტიურად მიმზიდველი გარემოს მოწყობა (ფერები, განლაგება და ა.შ.) • შეუძლია ესთეტიურად მიმზიდველი მასალისა და თვალსაჩინოებების შერჩევა • შეუძლია შეაფასოს ჯგუფში არსებული სიტუაცია • შეუძლია შექმნას თანამშრომლობითი გარემო • შეუძლია პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება • შეუძლია ბავშვთა უფლებების კონვენციის პრინციპების გათვალისწინება სააღზრდელო პროცესში • შეუძლია უზრუნველყოს ბავშვებისთვის მასალის ხელმისაწვდომობა • შეუძლია ბავშვების აქტიური ჩართვა კონკრეტული აქტივობების შედეგის მისაღწევად • შეუძლია ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით ხელი შეუწყოს მის დამოუკიდებელ მოქმედებას
--	--	--

			• შეუძლია ბავშვის გუნება-განწყობილების გათვალისწინება
7.	ინკლუზიური და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა	• იცის ბავშვის განვითარების თეორიები • იცის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების ხერხები • იცის ადრეულ ასაკში სწავლებისა და განვითარების ხელშეწყობის მეთოდები • ფლობს ინფორმაციას ბავშვის სხვადასხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ • იცის მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობის პრინციპები • იცნობს კომუნიკაციის პოზიტიურ მეთოდებს • იცის გუნდური მუშაობის პრინციპები • იცის მულტიდისციპლინური გუნდის წევრების უფლება-მოვალეობები • იცის ჯგუფში არსებულ განსხვავებულობაზე დაკვირვების გზები • იცის საკუთარი უფლება-მოვალეობები მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობის დროს • იცნობს სხვადასხვა სპეციალურ საჭიროებას • იცნობს ბავშვის საჭიროებების შესაბამის სხვადასხვა ინკლუზიურ სტრატეგიებს • იცის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობის მეთოდები • იცნობს შესაბამისი ლიტერატურასა და რესურსებს • იცის თითოეული ბავშვის ჩართვის მნიშვნელობა • იცის უცხოური ენა • იცის განსხვავებულობის გამოვლენის მეთოდები • იცის განსხვავებულობის მიმდებლობის მნიშვნელობა • იცნობს ბავშვთა უფლებების	• შეუძლია აქტიური მონაწილეობის მიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში • შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა და ჩატარება • შეუძლია სხვადასხვა მიდგომების გამოყენება ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად • შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მისაღწევი შედეგების შესაბამისად • შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების შეფასება • შეუძლია მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშრომლობა • შეუძლია რეგულარულად მიაწოდოს მულტიდისციპლინურ გუნდს სსსმ ბავშვის შესახებ ინფორმაცია • შეუძლია მიიღოს და გაითვალისწინოს მულტიდისციპლინური გუნდისგან მიღებული ინფორმაცია • შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია • შეუძლია აღსაზრდელთა საჭიროებების გამოვლენა • შეუძლია გარემოს მოწყობა აღსაზრდელთა საჭიროებებიდან გამომდინარე • შეუძლია საადმინისტრაციო გარემოს უზრუნველყოფა, სადაც თითოეული ბავშვის არის ჩართული

		კონვენციას • იცის კონვენციის პრინციპების მნიშვნელობა თანასწორი საზოგადოების შექმნისთვის • იცნობს ინკლუზიური გარემოს მახასიათებლებს • იცის ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები • იცის კონფლიქტის მოგვარების ეფექტური გზები • იცის მშობელთა შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების ხერხები • იცის უნივერსალური გარემოს შექმნის პრინციპები • იცის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ბავშვის ჩართვის სტრატეგიები	• შეუძლია შესაბამისი ლიტერატურის (სახელმწიფო და უცხოურ ენაზე) პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება • შეუძლია მოახდინოს განსხვავებულობაზე დაკვირვება • შეუძლია აქტივობების მორგება ბავშვის ინტერესებზე • შეუძლია ინკლუზიური გარემოს შექმნა • შეუძლია აქტივობების განხორციელება, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებს შეიტყონ სხვადასხვა განსხვავებულობების შესახებ • შეუძლია ბავშვებს ასწავლოს და დაეხმაროს სხვადასხვა სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან გამკლავებაში • შეუძლია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა • შეუძლია მშობლებს შორის დიალოგის წახალისება • შეუძლია მშობლებთან ურთიერთობისთვის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა • შეუძლია თითოეული ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნივერსალური გარემოს შექმნა • შეუძლია ბავშვების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში • შეუძლია ბავშვების წახალისება მათი აქტიური ჩართვისთვის
8.	ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნორმების დაცვა	• იცნობს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ უსაფრთხოების წესებს • იცნობს უსაფრთხოების დაცვის ეფექტურ საშუალებებს • იცნობს ბავშვებისთვის უსაფრთხოების წესების გაცნობის ხერხებს • იცნობს ბავშვებისთვის პირველადი დახმარების	• შეუძლია უსაფრთხოების ნორმების დაცვა • შეუძლია ხიფათის შემცველი სიტუაციის და გარემოს განსაზღვრა • შეუძლია ბავშვებისთვის სახიფათო სიტუაციების თავიდან აცილება • შეუძლია ბავშვებისთვის უსაფრთხოების წესების

		გაწევის პრინციპებს და მეთოდებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით • იცის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მასალების ჩამონათვალი • იცნობს დაწესებულების განსაზღვრულ ჰიგიენურ ნორმებს • იცის ბავშვებისთვის ჰიგიენური თვითმომსახურების ჩვევების განვითარების სტრატეგიები • იცის აქტიური ცხოვრების პრინციპები • იცის სუფთა და უვნებელი გარემოს მნიშვნელობა • იცის ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტური ხერხები • იცის ბავშვების ეზოში გაყვანის წესი • იცის ოთახის განიავების წესი • იცნობს ჯანსაღი კვების პრინციპებს • იცნობს გარემოებებსა და თავისებურებებს, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია ბავშვების კვების პროცესში • იცნობს ეკოლოგიურ საკითხებს • იცის ეფექტური ხერხები და აქტივობები ბავშვებისთვის ეკოლოგიური საკითხების გასაცნობად • იცის ბავშვების ქცევის წახალისების მეთოდები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით	გაცნობა • შეუძლია ბავშვების ხელშეწყობა უსაფრთხოების წესების დაცვის პროცესში • შეუძლია ბავშვს გაუწიოს პირველადი დახმარება საჭირო სიტუაციებში • შეუძლია განსაზღვროს ბავშვისთვის დახმარების საჭიროება • შეუძლია განსაზღვროს პირველადი დახმარების მასალა საჭიროების მიხედვით • შეუძლია ჰიგიენური ნორმების დაცვა • შეუძლია მარავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება ბავშვებისთვის ჰიგიენური თვითმომსახურების ჩვევების განვითარებისთვის • შეუძლია ბავშვების პირადი ჰიგიენის უზრუნველყოფა • შეუძლია ბავშვებს ასწავლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპები • შეუძლია გამოიყენოს მრავალფეროვანი ეფექტური ხერხები ინფორმაციის გადაცემისთვის • შეუძლია სპეციალური თვალსაჩინოებების დამზადება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით • შეუძლია ბავშვის ეზოში გაყვანა • შეუძლია ჯანსაღი კვების პრინციპების გამოყენება კვების პროცესში • შეუძლია გაითვალისწინოს ბავშვების კვების თავისებურებები • შეუძლია ოთახის განიავება წესის დაცვით • შეუძლია მოძრავი აქტივობების წარმართვა • შეუძლია ბავშვებისთვის ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ეკოლოგიის შესახებ
--	--	---	--

			• შეუძლია ეფექტური ხერხებისა და შესაბამისი აქტივობების გამოყენება ეკოლოგიური საკითხების გასაცნობად • შეუძლია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ბავშვის ქცევის წახალისება
9.	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	• იცის სხვადასხვა ტექნოლოგიებით ლიტერატურის მოპოვების გზები • იცის ერთ-ერთი უცხოური ენა საჭირო ლიტერატურის გაცნობისთვის • იცნობს ტექსტთან მუშაობის ტექნიკას • იცნობს ორგანიზაციებს, რომლებიც სთავაზობენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს • იცნობს კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა გზებს • იცის არსებული სიახლეების მოძიების სხვადასხვა გზები • იცის საკუთარი პროფესიული საჭიროებების გამოვლენის ხერხები • იცის საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები • იცნობს პროფესიის თანამედროვე გამოწვევებს • იცის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებები • ფლობს ინფორმაციას საკონსულტაციო ჯგუფების შესახებ • იცის გამოცდილების გაზიარების სხვადასხვა გზები • იცნობს სხვა ქვეყნებში არსებულ გამოცდილებას • იცის კომუნიკაციის თანამედროვე ეფექტური მეთოდები • იცის სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა, ისტორია • იცნობს თანამედროვე კვლევებს	• შეუძლია მოპოვებული ლიტერატურის პრაქტიკაში გამოყენება • შეუძლია სხვადასხვა ტექნოლოგიების საშუალებით ლიტერატურის გაცნობა • შეუძლია უცხოურ ენაზე არსებული ლიტერატურის გაცნობა • შეუძლია პროფესიული ლიტერატურის გააზრება • შეუძლია მოძიოს ინფორმაცია მისი საჭიროების შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ • შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა გზები კვალიფიკაციის ასამაღლებლად • შეუძლია სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა • შეუძლია განსაზღვროს მოპოვებული სიახლეების შესაბამისობა საკუთარ საჭიროებებთან • შეუძლია სიახლეების მოძიება და გაცნობა • შეუძლია საკუთარი პროფესიული საჭიროებების გამოვლენა • შეუძლია საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვება • შეუძლია საკუთარი საქმიანობის შეფასება • შეუძლია გამოცდილების გაზიარება • შეუძლია სხვისი გამოცდილების გათვალისწინება • შეუძლია ინფორმაციის მოძიება საკონსულტაციო ჯგუფების შესახებ

		სკოლამდელი განათლების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ • იცის ადვოკატირების სტრატეგიები • იცის დარგის პოპულარიზაციის გზები და ხერხები • იცის ახალბედა სპეციალისტებთან მუშაობის სტრატეგიები • იცის სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა და აუცილებლობა დარგის განვითარებისათვის	• შეუძლია სხვა ქვეყნებში ინოვაციური მეთოდების მოძიება • შეუძლია დარგის ადვოკატირება და პოპულარიზაცია • შეუძლია ახალბედა პროფესიონალების ხელშეწყობა • შეუძლია სამეცნიერო კვლევების განხორციელების ხელშეწყობა • შეუძლია შემოქმედებითად მიუდგეს პროფესიულ საქმიანობას • შეუძლია შექმნას ახალი პროდუქტები • (აქტივობები, თამაშები, სხვადასხვა მეთოდური მასალა) • შეუძლია კომუნიკაცია უცხოურ ენაზე
--	--	---	--

15. სტანდარტის მოქმედების ვადა:

3 წელი

პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	ნატო ფანჭულიძე	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი
2	მარიამ ბულიშვილი	N1 ბაგა-ბაღი, აღმზრდელი
3	ხათუნა მეტრეველი	N6 ბაგა-ბაღი, აღმზრდელი
4	თამარ ბაქრაძე	N6 ბაგა-ბაღი, დირექტორი
5	მზია ვაზაგაშვილი	N22 ბაგა-ბაღი, აღმზრდელი
6	ნატო რურუა	N 46 ბაგა-ბაღი, აღმზრდელი
7	ნათია მარგებაძე	N 46 ბაგა-ბაღი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი
8	ირმა მსხილაძე	N80 ბაგა-ბაღი, აღმზრდელი
9	ირინა რუხაძე	ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, კოორდინატორი
10	ნარგიზა პირავეა	მონტესორის ბაღი
11	ნანა მჭედლიძე	N 9 ბაგა-ბაღი
12	ანა ჯანელიძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი
13	ირმა გრიგოლია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი

შეფასების სტანდარტი

პროფესიის დასახელება: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლებისა და/ან არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი ეფუძნება კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს. ის განსაზღვრავს სტანდარტში ასახული პროფესიული ცოდნისა და უნარების შეფასებისა და დადასტურების აუცილებელ პირობებს: 1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების ტერმინებში; 2. კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებშიც ასახულია აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები; 3. კომპეტენციების დადასტურებისათვის გამოყენებულ მტკიცებულებებს.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს შეფასების პროცესის განხორციელების მიდგომებს.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

არაფორმალური განათლების აღიარების მიზნებისათვის გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის მესამე ნაწილში (ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები) აღწერილი პროცედურები. შედეგები აისახება თანდართულ ფორმებში, რომლებიც დანართის სახით ახლავს დოკუმენტს.

ნაწილი 2. შეფასების კრიტერიუმები

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
პროფესიული მოვალეობა 1: სამუშაოს ორგანიზება	
1.1. იცავს დღის განრიგს	1.1.1. სწორად განმარტავს როგორც აღმზრდელის, ასევე ბაღის თანამშრომლების მოვალეობებს დღის განრიგის დაცვასთან დაკავშირებით 1.1.2. კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შედეგად, აანალიზებს აღმზრდელის ქმედებებს დღის სარეკომენდაციო განრიგის დაცვასთან დაკავშირებით
1.2. თანამშრომლობს ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან (მეთოდისტთან)	1.2.1. სწორად განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან ბაღის აღმზრდელის თანამშრომლობის მნიშვნელობას 1.2.2. შეიმუშავებს საგანმანათლებლო კოორდინატორთან ერთობლივ ღონისძიებებს,

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	დავალების შესაბამისად
1.3. თანამშრომლობს კოლეგებთან	1.3.1. სწორად განიხილავს კოლეგებთან ბადის აღმზრდელის თანამშრომლობის აუცილებლობას 1.3.2. შეიმუშავებს თანამშრომლებთან ერთობლივი მუშაობის ღონისძიებებს, დავალების შესაბამისად
1.4. აწარმოებს რეგულაციებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას	1.4.1. სწორად ჩამოთვლის ანგარიშვალდებულების დოკუმენტების ნუსხას 1.4.2. სწორად ჩამოთვლის რეგულაციებით განსაზღვრულ დოკუმენტებს 1.4.3. სწორად ჩამოთვლის პორტფოლიოში შემავალი დოკუმენტაციისა და მასალის ნუსხას 1.4.4. აანალიზებს დოკუმენტაციისა და პორტფოლიოს შექმნის მნიშვნელობას 1.4.5. ქმნის საკუთარი და აღსაზრდელთა აქტივობების ამსახველი მასალის პორტფოლიოს 1.4.6. სწორად ჩამოთვლის საკანონმდებლო ბაზასა და რეგულაციებს 1.4.7. სწორად განიხილავს საკანონმდებლო ბაზასა და რეგულაციებს
1.5. უფრთხილდება ბადის ქონებას/ინვენტარს	1.5.1. სწორად აანალიზებს აღმზრდელის როლს საგანმანათლებლო რესურსის შექმნასა და დაცვაში 1.5.2. იხ. 1.1.1.
1.6. იცავს კოლეგიალური და ზოგადი ეთიკის ნორმებს	1.6.1. არგუმენტირებულად განიხილავს პედაგოგის ზოგადი ეთიკის ნორმებს, სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების შესაბამისად 1.6.2. აანალიზებს კონფიდენციალურობის დაცვის საჭიროებას აღსაზრდელებთან, მშობლებთან, თანამშრომლებთან მიმართებით 1.6.3. სიტუაციური ამოცანიდან გამომდინარე, არგუმენტირებულად ასაბუთებს პედაგოგის ზოგადი ეთიკის ნორმების დარღვევის და/ან დაცვის შემთხვევებს
პროფესიული მოვალეობა 2: სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა	
2.1. შეიმუშავებს სააღმზრდელო პროცესის გრძელვადიან გეგმას	2.1.1. სწორად განმარტავს კურიკულუმის რაობას, მის შემადგენელ ნაწილებსა და მახასიათებლებს 2.1.2. სწორად განმარტავს კურიკულუმის მნიშვნელობას ბაგა-ბადის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში 2.1.3. სწორად განმარტავს თანამედროვე თეორიებს, რომლებსაც ეყრდნობა თანამედროვე ადრეული განათლების კურიკულუმები 2.1.4. სწორად განმარტავს თანამედროვე და ეფექტური კურიკულუმების მოდელებს 2.1.5. სწორად განსაზღვრავს თანამედროვე და ეფექტური კურიკულუმების მოდელთა მახასიათებლებს

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	2.1.6. აანალიზებს კურიკულუმის მოდელებს, ღირებულებებისა და ეფექტური პრაქტიკის კრიტერიუმების ჭრილში 2.1.7. აანალიზებს კურიკულუმებს, განვითარებისა და ასაკის შესაბამისად 2.1.8. მახასიათებლების მიხედვით, განასხვავებს კურიკულუმის მოდელებს 2.1.9. აანალიზებს საქართველოში არსებული ადრეული განათლების კურიკულუმის ღირებულებებსა და მახასიათებლებს 2.1.10. აანალიზებს საქართველოში არსებული კურიკულუმების გამოწვევებსა და მის სუსტ მხარეებს 2.1.11. საქართველოში არსებული ადრეული განათლების კურიკულუმის თანახმად, შეიმუშავებს გრძელვადიან გეგმას 2.1.12. საადმინისტრაციო-სასწავლო გეგმის შემუშავების დროს ითვალისწინებს კურიკულუმის მოდელების პრინციპებს
2.2. შეიმუშავებს საადმინისტრაციო პროცესის მოკლევადიან გეგმებს	2.2.1. სწორად ჩამოთვლის განვითარების თეორიებს 2.2.2. განიხილავს განვითარების თეორიების მთავარ პრინციპებს 2.2.3. სწორად ჩამოთვლის ადრეული ასაკის აღსაზრდელთა თავისებურებების მახასიათებლებს 2.2.4. არგუმენტირებულად მსჯელობს ბავშვის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებზე 2.2.5. არგუმენტირებულად მსჯელობს ბავშვის განვითარების მასტიმულირებელ გარემოზე, აქტივობებზე 2.2.6. სიტუაციური ამოცანის განხილვის დროს სწორად მსჯელობს აღსაზრდელის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებზე 2.2.7. სწორად განიხილავს ადრეული ასაკის სწავლისა და განვითარების სტანდარტს 2.2.8. სწორად აღწერს ასაკობრივ თავისებურებებს, განვითარების სფეროების მიხედვით 2.2.9. ჩამოთვლის ბავშვის განვითარების სფეროებს, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით 2.2.10. განსაზღვრავს განვითარების სფეროების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას 2.2.11. არგუმენტირებულად მსჯელობს ადრეულ ასაკში ბავშვის ინტეგრირებული განვითარების მნიშვნელობაზე 2.2.12. არგუმენტირებულად მსჯელობს თამაშის როლზე ბავშვის განვითარებაში 2.2.13. ქმნის აქტივობებს, განვითარების სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების შესაბამისად

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	2.2.14. სწორად განმარტავს ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის მნიშვნელობასა და ეფექტურობას 2.2.15. სწორად განმარტავს ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპებს 2.2.16. იმიტირებულ და/ან რეალურ ვითარებაში სწორად იყენებს ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას სააღმზრდელო პროცესში 2.2.17. საქართველოში არსებული ადრეული განათლების კურიკულუმის თანახმად, შეიმუშავებს მოკლევადიან გეგმას
2.3. განსაზღვრავს სააღმზრდელო პროცესისთვის საჭირო რესურსებს	2.3.1. სწორად განსაზღვრავს აქტივობების თავისებურებებსა და მიზანს, საჭირო რესურსის შერჩევას 2.3.2. სწორად განსაზღვრავს უსაფრთხოების ნორმებს საჭირო რესურსის შერჩევას 2.3.3. არჩევს საჭირო რესურსს, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით 2.3.4. არჩევს საჭირო რესურსს, ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით 2.3.5. ქმნის სასწავლო რესურსს, აღსაზრდელთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით 2.3.6. უზრუნველყოფს სივრცეს საჭირო მასალით
2.4. თანამშრომლობს მულტიდისციპლინურ გუნდთან	2.4.1. სწორად განმარტავს მულტიდისციპლინურ გუნდთან აღმზრდელის მუშაობის მნიშვნელობას 2.4.2. კონკრეტული შემთხვევის შესწავლის დროს განსაზღვრავს მულტიდისციპლინური გუნდის საჭიროებასა და თანამშრომლობის გზებს
2.5. შეიმუშავებს ინდივიდუალურ სააღმზრდელო გეგმას	2.5.1. კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შედეგად, იყენებს სხვადასხვა წყაროდან (ოჯახი, მულტიდისციპლინური გუნდი, შესაბამისი ლიტერატურა და დოკუმენტაცია და სხვა) მიღებულ ინფორმაციას ინდივიდუალური გეგმის შექმნის პროცესში 2.5.2. ინდივიდუალური სააღმზრდელო გეგმის შემუშავებისას ითვალისწინებს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ინტერესებსა და საჭიროებებს
2.6. ხელმძღვანელობს სავალდებულო და სარეკომენდაციო ლიტერატურით	2.6.1. სწორად განმარტავს საქართველოში არსებულ დოკუმენტებს/წიგნებს ადრეული განათლების კურიკულუმის კრილში 2.6.2. იხ.2.1.9.
პროფესიული მოვალეობა 3: თემთან და ოჯახთან ურთიერთობის წარმართვა	
3.1. ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან და თემთან	3.1.1. სწორად განსაზღვრავს მშობლებთან შეხვედრების მიზნობრიობას 3.1.2. სწორად განსაზღვრავს მშობლებთან კომუნიკაციის გზებს

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	3.1.3. სწორად განმარტავს მშობლებთან ინდივიდუალური და/ან ჯგუფური შეხვედრების მნიშვნელობას 3.1.4. სწორად განმარტავს მშობლებთან კომუნიკაციის დროს ეთიკის ნორმების დაცვის მნიშვნელობას 3.1.5. იმიტირებულ და/ან რეალურ ვითარებაში სწორად ამყარებს მშობლებთან კომუნიკაციას, მათი ინფორმირების მიზნით
3.2. სააღმზრდელო პროცესში ასახავს თემში არსებულ მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს	3.2.1. სწორად აყალიბებს თემში არსებული მრავალფეროვნებისა და სხვადასხვა მახასიათებლის გაცნობის მნიშვნელობას 3.2.2. ჩამოთვლის თემში არსებული რესურსის შესახებ ინფორმაციის მოძიების სანდო წყაროებს 3.2.3. განმარტავს თემთან ინდივიდუალური და/ან ჯგუფური შეხვედრების მიზნებს 3.2.4. სწორად განმარტავს თემთან კომუნიკაციის დროს ეთიკის ნორმების დაცვის მნიშვნელობას 3.2.5. კონკრეტული შემთხვევის შესწავლის დროს ასაბუთებს თემთან შეხვედრების აუცილებლობას 3.2.6. სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვის დროს, ითვალისწინებს თემის ჩართულობის გზებს
3.3. ხელს უწყობს მშობლის ჩართულობას სააღმზრდელო პროცესში	3.3.1. შეიმუშავებს მშობლის ინტერესებისა და საჭიროებების დასადგენად კითხვარებს 3.3.2. ქმნის საინფორმაციო პაკეტს მშობლების ინფორმირებისათვის 3.3.3. გეგმავს სააღმზრდელო პროცესში ღონისძიებებს მშობელთა ჩართულობით
3.4. იცავს მშობლებთან ურთიერთობისას ეთიკის ნორმებს	3.4.1. ანალიზებს კონფიდენციალურობის დაცვის საჭიროებას აღსაზრდელებთან, მშობლებთან, თანამშრომლებთან მიმართებით 3.4.2. იმიტირებულ სიტუაციაში მოქმედებს ეთიკის ნორმების დაცვით
3.5. იყენებს თემში არსებულ მატერიალურ რესურსს სააღმზრდელო პროცესში	3.5.1. არგუმენტირებულად ასაბუთებს სააღმზრდელო ჯგუფისთვის თემისა და მშობლების რესურსის გამოყენებით ღონისძიებების ჩატარების საჭიროებებს 3.5.2. განსაზღვრავს სააღმზრდელო ღონისძიებებში მშობელთა და თემის ერთობლივი ჩართულობის გზებს 3.5.3. შეიმუშავებს ღონისძიებების გეგმას თემისა და მშობლების ჩართულობით
3.6. ხელს უწყობს მშობლებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას	3.6.1. სწორად განმარტავს მშობლების შეხვედრების, ექსკურსიებისა და სემინარების მნიშვნელობას 3.6.2. გეგმავს მშობლებს შორის პოზიტიური კომუნიკაციის ხელშეწყობის დამყარების გზებს 3.6.3. იმიტირებულ და/ან რეალურ ვითარებაში ახალმომიღებულ ადსაზრდელებს მშობლებს აცნობს დაწესებულებაში არსებულ წესებს

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	3.6.4. გეგმავს მშობლების შეხვედრებს, ექსკურსიებსა და სემინარებს
პროფესიული მოვალეობა 4: საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო პროცესის მართვა	
4.1. წარმართავს აქტივობებს ბავშვების დიდ ჯგუფთან	4.1.1. უზრუნველყოფს სივრცის მოწყობას დიდ ჯგუფებთან ჩასატარებელი აქტივობებისათვის 4.1.2. უზრუნველყოფს სივრცეს საჭირო მასალით 4.1.3. აწვდის ინფორმაციას მთლიან ჯგუფს დაგეგმილი აქტივობის შესახებ 4.1.4. ეფექტურად წარმართავს დიდი ჯგუფის აქტივობებს 4.1.5. დიდ ჯგუფში აქტივობების წარმართვისას ითვალისწინებს ჯგუფისა და ბავშვის ინდივიდუალურ ინტერესებს 4.1.6. წყაროებზე დაყრდნობით, სწორად განსაზღვრავს სოციალურ-ემოციური უნარების განსავითარებელ აქტივობებს, კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინებით 4.1.7. აქტივობების დაგეგმვის დროს ითვალისწინებს ადრეულ ასაკში ბავშვის ინტეგრირებული განვითარების ჰოლისტურ მიდგომას 4.1.8. აქტივობების დაგეგმვის დროს ითვალისწინებს განვითარების სტანდარტის შედეგებსა და ინდიკატორებს 4.1.9. თამაშების დაგეგმვის დროს დიდ ჯგუფებში ითვალისწინებს ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს
4.2. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას მცირე ჯგუფებთან	იხ. 4.1.1.-4.1.11. 4.2.1. სიმულაციურ სიტუაციაში მცირე ჯგუფებისთვის აქტივობების დასაგეგმად ითვალისწინებს აღსაზრდელთა თავისებურებებს 4.2.2. იმიტირებულ ვითარებაში ახორციელებს დაგეგმილ აქტივობებს მცირე ჯგუფში
4.3. აკვირდება ბავშვებს და მათ ჯგუფებს	4.3.1. სწორად განმარტავს ობიექტური დაკვირვების მნიშვნელობასა და კრიტერიუმებს 4.3.2. სწორად განმარტავს თითოეული მეთოდის როგორც უპირატესობას, ისე მის ნაკლს 4.3.3. სწორად განსაზღვრავს დასაკვირვებელ საკითხს, ქცევას, უნარს 4.3.4. სწორად განსაზღვრავს არაფორმალური მეთოდების გამოყენებას იმის შესაბამისად, თუ რას აკვირდება და აფასებს 4.3.5. შეიმუშავებს (ბავშვის, ჯგუფის, აღმზრდელის, პროგრამის) არაფორმალური შეფასების გეგმას 4.3.6. სწორად აფასებს დაკვირვების შედეგებს,

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	სიტუაციური ამოცანიდან გამომდინარე 4.3.7. სწორად განმარტავს ბავშვის განვითარების ეტაპებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს 4.3.8. სწორად შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმიტირებულ პროცესზე დაკვირვების შედეგებზე დაფუძნებით 4.3.9. წესების დაცვით აწარმოებს ბავშვზე, აქტივობებზე არაფორმალურ დაკვირვებას სიმულაციურ სიტუაციებში
4.4. აფასებს ბავშვის ჩართულობას	4.4.1. სწორად განმარტავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, როგორც ყველა ბავშვისათვის უნივერსალური განათლების მოდელს 4.4.2. არგუმენტირებულად განიხილავს საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცდილებას ინკლუზიურ განათლებაში 4.4.3. აანალიზებს გამოწვევებს ინკლუზიური განათლების პრაქტიკაში 4.4.4. სწორად განმარტავს ბავშვზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მნიშვნელობას 4.4.5. სწორად ჩამოთვლის არაფორმალური და ფორმალური შეფასების მეთოდებს 4.4.6. სწორად განმარტავს არაფორმალური შეფასების მეთოდებს 4.4.7. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ხელს უწყობს აღსაზრდელთა ჩართულობას იმიტირებულ გარემოში
4.5. სააღმზრდელო პროცესში თანამშრომლობს თანაშემწესთან	4.5.1. სწორად განმარტავს ბაღის აღმზრდელის თანაშემწის უფლება-მოვალეობებს 4.5.2. სწორად აანალიზებს თანაშემწესთან აღმზრდელის თანამშრომლობის მნიშვნელობას 4.5.3. იხ.1.3.1.
4.6. შეიუმშავებს ჯგუფის წესებს ბავშვებთან ერთად	4.6.1. იმიტირებულ და/ან რეალურ გარემოში ბავშვებთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფისათვის აუცილებელ წესებს 4.6.2. ქმნის აქტივობებს, რომლებიც დაეხმარება ბავშვებთან ერთად თვალსაჩინოებების მომზადებაში კომუნიკაციის წესების დემონსტრირებისთვის
პროფესიული მოვალეობა 5: ბავშვის მრავალმხრივი განვითარება	
5.1. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას	5.1.1. სწორად განმარტავს ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის მნიშვნელობასა და ეფექტურობას

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
აღსაზრდელებში თამაშის უნარების განსავითარებლად	5.1.2. სწორად განმარტავს ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპებს 5.1.3. სწორად განმარტავს ჰოლისტური მიდგომის მნიშვნელობას 5.1.4. სწორად განმარტავს ჰოლისტური მიდგომის პრინციპებს 5.1.5. სწორად განმარტავს თამაშის როლს ბავშვის სწავლებისა და განვითარების პროცესში, მის კეთილდღეობაში 5.1.6. სწორად განმარტავს თამაშის განვითარების ეტაპებსა და მის ფორმებს 5.1.7. სწორად განმარტავს აღმზრდელის როლს თამაშის ხელშეწყობასა და თამაშის უნარის განვითარებაში 5.1.8. იმიტირებულ და/ან რეალურ ვითარებაში უზრუნველყოფს თამაშის პირობებს 5.1.9. იმიტირებულ და/ან რეალურ ვითარებაში ხელს უწყობს თამაშის უნარის განვითარებას აღსაზრდელებში 5.1.10. ითვალისწინებს თამაშის მრავალფეროვან ფორმებს სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვის დროს
5.2. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას კომუნიკაციის უნარების განსავითარებლად	5.2.1. სწორად განმარტავს კომუნიკაციის მნიშვნელობას სკოლამდელ განათლებაში 5.2.2. სწორად განმარტავს აღმზრდელის როლს ადრეულ განათლებაში 5.2.3. სწორად განმარტავს კომუნიკაციის განვითარების შესაბამის მიზნებს 5.2.4. გეგმავს კომუნიკაციის უნარების განსავითარებლად დღის აქტივობებსა და რუტინას 5.2.5. იმიტირებულ და/ან რეალურ გარემოში ახორციელებს დაგეგმილ/შედგენილ განმავითარებელ აქტივობებს 5.2.6. სწორად აფასებს მიზნის მიღწევის პროცესსა და შედეგს
